

# საქართველოს რესპუბლიკა

**სსსკ**  
საქართველოს ნავთობის  
საერთაშორისო კორპორაცია  
Georgian International  
Oil Corporation

ორშაბათი  
13 იანვარი,  
2003 წელი  
**№10**  
(4389)

**საახალწლო  
სინამდვილე**  
გავროშები  
და კონკიები  
თბილისის  
ქუჩებიდან

მშობი, მშენიერ სკადონზე, ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ. თვალები სისარულით ანთებულია. გოგონები კიბესთან მიმსხდარან და ერთმანეთს წიგნს უკითხავენ. შერბობის შიგნით, დარბაზში კი დიდი, ათასწრად აუღვარებული ნადვის ხე დგას.

„დილა ამ  
გაზეთის  
გადაშლით  
დაიწყეთ...“  
გეორგი ვალოუ

გაზეთი დაარსდა 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

**თვალსაწიერი**  
რას ვერ  
ხედავენ ბეცები,  
რა არ ესმით  
ყრუებს...

სწრაფად გავიდა 2003-ის ეს პირველი ორი, „მსუბუქი“ კვირა. შობა-ახალწლის საზეიმო განწყობილება და საყარო ბაკალიები მიცხრა და პირქუში დღეებში მთელი სიგრძე-სიგანით კვლავ დაგებადგა თავზე.

ახლა უფრო მეტი სინცხადით შეიგრძნობა, რომ წლის ბიუჯეტი მიღებული არ არის, აზნაზები რუსეთის მოქალაქეობას იღებენ, ისევე მოხიზრდა გეროროსტული აქტები, თბილისში კი ხუთჯერაზი დროშები ფრიალებს, რაც ღამის ასახლი სა-მოქალაქო ომის მიზეზად იქცევა...

ამას წინათ ერთ პარლამენტარს ვესაუბრე, მამალი ოპოზიციონერი გახლავთ. ვკითხე, ერთხელ უკვე ჩაგდებულ ბიუჯეტს რა პერსპექტივა აქვს-მეთქი. მწუხარედ მითხრა, მეორე მოსმენით, ალბათ, გავა, ისეთი სამზადისი აქვთ ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციებს.

„განსაკუთრებული სამზადისი“ თავისთავად, მაგრამ ბიუჯეტის გასვლა მხოლოდ „სახელისუფლებო ფრაქციების“ საქმე და ინტერესი რატომ არის ვითომ? ლოგიკის მიხედვით ნებისმიერმა პოლიტიკოსმა, რომელიც მართლად ფიქრობს ქვეყნის მომავალზე და თავალსაწიერი მხოლოდ თავისი ცხვირის წვერით არ შემოუფარგლავს, ბიუჯეტს ხმა უნდა მისცეს. თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანას ბიუჯეტი პუნდუს. ესეც არ იყო, კაცმა რომ თქვას, რა სჭირს ამ ბიუჯეტს მიუღებელი? გასულ წელთან შედარებით შემცირებული სომ არ არის, დაწუნების ამ კლასიკური მიზეზით შარი რომ მოუდო? პირქით, 210 მილიონით არის გაზრდილი.



ხვალ კვილით ახალი წელი დგება. ამ დღეს გვილონავენ თბილისის „მომავლის სახლის“ აღსაზრდელები. ლევან ლომაძის ფოტო.

**ბისაროდენი!**  
„ჭერასა“ და „ბიბიდაში“ ახალშობილთა სიმრავლე

ახალი წელი სისარულით შემობრძანდა არა მარტო ოჯახებში, სამშობიარო სახლებშიც. „პერაში“ (ვაკეში, ყოფილი „ლეჩკომბინაგის“ ბაზაზე), როგორც მისმა დირექტორმა მიხეილ სა-გიაშვილმა გვაცნობა, იანვრის 9 დღეში 9 ბავშვი დაიბადა, ხოლო „ბიბიდაში“ (ქვეთარაბის ქუჩაზე მდებარეობს) შსს სამედიკალური ცენტრიდან ექიმმა მარია თორთლაძემ „სიმა-როლის წიგნიდან“ გვიკარნახა:

– 10 დღეში 13 ბავშვი დაიბადა, მთელი უკვე გაუწერა და შინ მზრუნველობითაა გარემოსილი, მოგიც მალე გაუწერება. ყველა ჯანმრთელი!



ბევრად ახალი წელი დგებოდა. ორი წელიწადია, აქ არ ვყოფილვარ და როგორ შეგვიღიან და გაზრდილი ეს, ქუჩიდან მოსული პატარა კონკიები და გავროშები: გოგონებს თავის მოვლა უსწავლიათ, სუფთად, ღამაზად აცვიათ, ბიჭები დადინჯებულან და კითხვებზე თავაზიანად მიპასუხებენ.

არადა, მახსოვს „მომავლის სახლი“ მათი ყოფნის პირველი წლები. დღეს მათ მიზეზ წარსულს არ შევხვები – ისედაც კარგად იცის მკითხველმა.

ალბო ვიცი, საიდან დაგიწყო თბრობა – იმდენი კარგი რამ გაუკეთებიათ ამ ბავშვებზე მზრუნველადამიანებს. ისევე სჯობს, კრიპალისანივით ჩამოვმარცვლო და ჩამოვთვალო ის სიკეთის მძივები, ამ სუთიოდე წლის განმავლობაში რომ ასხმულა და ბედნიერებას ანიჭებს „სიყვარულის დიდ ოჯახში“ მცხოვრებ მიუსაფარ ბავშვებს:

იხ. გვ-2 გვ.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



**უპანასკნელ საათს**

შრანში „მშვიდობის წარგბანელები“ ჩავედნენ ერაყში, რათა აწარმოონ ინსპექტორთა ინსპექტირება. ჯგუფში შედიან სამოქალაქო და სამხედრო სპეციალისტები მასობრივი განადგურების დარგში, რომლებსაც სურთ გააკონტროლონ ერაყში გაეროს ინსპექტორთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგები, რათა არ მოხდეს უაღსოფიციერება.

**ჩვენი პუბლიკაცია**  
უცნობი გრიგოლ რობაქიძე

იხ. გვ-3-4 გვ.

**ინტერკანონი**

ისრაელის ჯარებმა ჩაატარეს დამის „მურისძიების აქცია“ ერთი კვირის წინათ პალესტინის ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ თელ-ავივში მოწყობილი გერაქტის საპასუხოდ. დაიდუპა ერთი და დაიჭრა თოთხმეტი პალესტინელი.

ბაირის ინსპექტორებმა შეამოწმეს კიდევ სუთი ობიექტი და კვლავაც ვერაფერი აღმოაჩინეს. ინსპექტირების დაწყებდან განვლილი ექვსსაბუარო კვირის მანძილზე კი მათ შეამოწმეს ერაყის სამხრეთი ობიექტი, მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღის ვერაჩიარ ნაკვალევს ვერ ვააწყდნენ.

თვალსაზიარი

რას ვერ ხედავენ ბეცები, რა არ ესმით ყრუებს...

(ამრეალი გვერდიანი)

პოლა, ახლა იმის გამო, რომ, ვთქვამთ, მისმა ამა თუ იმ პარამეტრმა ან ხარჯვის მიმართობამ არ დაგაკმაყოფილა, ბიუჯეტის მიღებას ხიშტი შეხედე, თანმიმდევრულად კი არა, უბრალოდ, სიბუცეა. ისე რომ, ბიუჯეტის მეორე მოსმენით მიღების ალბათობა, ისევე ლოგიკის მიხედვით, რისკის ქვეშ არ უნდა იდგას. და თუ სახელისუფლებო ფრაქციები მაინც საგულდაგულოდ ემზადებიან, ამაში ცუდს, პირადად მე ვერაფერს ვხედავ - მოგახსენებთ, ბუცე და ყრუ, სამწუხაროდ, ცოცხალი რად გვეყვება პარლამენტში.

ბევრი ეგვიპტის პოლიტიკოსი ამ საშინაო საპარლამენტო თემბატურა უმრავლესობის შექმნას. არადა, ამ იდეას ავტორებმა საპარლამენტო მუხრების სურვილი დაუდეს საფუძვლად, თორემ უკრულეს პოლიტიკურ სპექტრს, რომლისგანაც ეს თემბატური უმრავლესობა შედგება, სწორედ რომ წარმოუდგენელია ხმების მიცემა-არმიცემა უკარნახო და აიძული. შემოსხენებული ეგვიპტის პოლიტიკოსები უფრო შორსაც მიდიან. იმასაც ეს ვერაულოებენ, რომ კი თემბატური თანამშრომლობა შეიძლება ერთ ბლოკად ჩამოყალიბდეს ის საფუძველი გახდეს.

აღიღო და ხედავო!.. ამასობაში კი კვლავ გამოვედგინე მდგომარეობა აფხაზეთში. ოღონდ ეს „გამწვავება“ გარეგნულად მხოლოდ ენგურსგამოღება შეიძლება, სადაც კვლავ საპროგრესო გალდა ატორდა, რუსეთის ახალ პროვოკაციულ წამოწყებასთან დაკავშირებით. - მთელი აფხაზეთი „რუსეთის მოქალაქეების“ სამკვიდროდ აქციონის მათთვის რუსული პასპორტების დარიცხვით და, ამგვარად, ამ გერმანიის მიერ თავისი პროტექტორატი დაამკვიდროს.

იგი, რა თქმა უნდა, ცნობს საქართველოს სუვერენიტეტს და გერმანიის მთლიანობას, მაგრამ, იმავდროულად, მუხრების კალთას გააღაფარებს „თავისი მოქალაქეების“ დასახლებულ საქართველოს „მცირე იმპერიადან“ თავდახსნის, თვითგამორკვეულ აფხაზეთის რესპუბლიკას. მოსკოვმა მიაგნო აფხაზეთის ხელში ჩაგდებას უმოკლეს, ითვ, მოხერხებულ და უდავოდარბაბი გახს.

სოჭი-სოხუმის საგარეუბნო მატარებლის მიმოსვლის დაწყებამ სომ აქეთკენ გაზარდა ნაბიჯი! ახსნა-განმარტების ნაცვლად აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში რუსეთის პრემიერის პირადი წარმომადგენელი ვალერი ლომინინი (ამ თანამდებობის შემო-

ღება თავის დროზე რუსეთის, კერძოდ, პრემიერ-მინისტრის კეთილი ნების გამოხატვად მოგვეწოდა და ჩვენც ასე ადვილად სოსუმში ისე მიჭრი-მოჭრის და საქმეებს არჩევს, თბილისს ამბადაც არ ატყობინებს. და ახლა, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კალთებს ახევის, თბილისში გვეწვიეთ, ჯერ კიდევ გაურკვეველია, დაგვადებს თუ არა პატივს ბატონი ვალერი. იცის, ძნელია ლაპარაკი ელის და დროს ჰმობავს, რათა ამა-სობაში აფხაზეთში რუსული მანაფიქრისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნას.

ამას წინათ თავილი მოგვარი ბატონ ვახტანგ გოგუაძის რუსულ ენაზე დასტამბულ ახალ წიგნს „Верните мне мою Россию“. არ წამიკითხავს და ვერ გეტყვით, როგორი „თავის რუსეთთან“ დახმარებას ითხოვს ან ვის სტან ითხოვს ამას ავტორი, მაგრამ ის კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ თუ ასე გაგრძელდა, დიდი შანსი გვაქვს, მალე სწორედ ისეთი „ჩვენი რუსეთი“ მივიღოთ, როგორმეც წვდანი მოგახსენებთ და თანაც არა სადაც შორს, სადაც გვახსოვს, არამედ აგერ ყურისძირში, საკუთარ სამშობლოში, ენგურსგაღმა.

ისე რომ, ქვეყანას დღეს ხვალ შეიძლება ქუდზე კაცი დასჭირდეს. ეს ქუდზე კაცები კი უდევთ გვეპარებიან. მუგდამი ბადრი მარანდია მოკლეს, თბილისში დიმა ჯაბანი ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმის და მრწამსის, მაგრამ აფხაზეთთან სისხლოვრეულად დაკავშირებული ადამიანები...

რამდენი რამ გეტყობა, რამდენი რამ გვაქვს მოსაგვარებელი და დასაბლაგველი და ამ დროს მთელი ომი ამტკიცარი ხუთჯვრიანის თეთრი დროშის „აბორიგენობაზე“ ცალკერძ პარლამენტარ გურამ შარბაძის იტორიკოსებითა და დოკუმენტებით, ცალკერძ - მსხვილ სააკამეილი თბილისის საკრებულოთი. რაც უფრო საფუძვლიანად ასაბუთებს გურამ შარბაძე ამ დროშის უცხოობასა და მიუდევლობას, მით უფრო ძალაძნეა მისეთ სააკამეილი - თბილისის მერი-იდან ქუშუბზე გადავიდა და „ლაშის სახლში შემოიჭრას, დროშა, ლამის წელზე შემოგვხვიოს ხელა“...

ამ დაუსრულებელმა დახვამ ისე მოაბერა თავი საზოგადოებას, რომ უკვე ყველა მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს, გადამწყვეტი სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხით. მით უფრო, რომ არც თუ შორეულ მომავალში, იქნებ, მართლაც დაგვიტრდეს საქართველოს დროშის ქვეშ დაჯარვა...

ალექს. ახლანდელი.

(ამრეალი გვერდიანი)

გაიღეს მენობის ფასადი და გამაგრდა საბირკველი; ფიცრული მუშაბანდის ნაცვლად ამოშენდა კაპიტალური; შეიცვალა სანტექნიკის გაყვანილობა; დამონტაჟდა გათბობის სისტემა, გამაყვანილობა; გაიხსნა კეთილმოწყობილი სასადილო, აბანო, სამკურნალო სამქრო, გარემონტდა სამი საცხოვრებელი ოთახი. ვალაბანდა ეზოც - კეთილმოწყობილი სკადიონი...

ქველმოქმედებამაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მანამდე კი, იმ შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, სტუმრად მიხულს „მომავლის სახლის“ დამფუძნებლებთან: დირექტორთან ცირა ლანჩავასთან, დირექტორის მოადგილესთან ნანა გაბუნიასთან პარლამენტარ ქალთა კლუბის თავმჯდომარესთან ნანი ჭანიშვილთან საუბრისას რომ დამრჩა.

აუღელ ვებლად ვერ მოიხმენ მათ ნაამბობს: ცირა ლანჩავა - უმღვევია ის დახმარება და სიკეთე, რასაც „მშრუნველთა საბჭოს“ თავმჯდომარე ნანი ჭანიშვილი იჩენს ჩვენს მი-

ერთად, მანვე ამბეგლის თეატრში საახალწლო ნაბიხის მიმე წაიყვანა ბავშვები... ვთანამშრომლობთ იგალოის, ინგლისის საელჩოებთან, სასტუმრო „მერაგონ მეგები-პალასის“ ხელმძღვანელობასთან. მენობის რემონტი კი საერთაშორისო ორგანიზაცია „სიფის“ დაფინანსებით გაკეთდა. თუმცა, დაფინანსების ოცი პროცენტი ქალაქის მერმა გაიღო.

დიდ მადლობას ვუხდით თითოეულ ქველმოქმედს!

... იცით, ჩვენი ცხოვრებენ და-ძმა ჩიქოვანები. მეექვსე კლასში იყვნენ, მათზე მშრუნველობა რომ იკისრა ვანო მოღელავამ, დათომ მისგან ბევრი კარგი რამ ისწავლა, აღმრდის საუკეთესო მაგალითი მიიღო - ფრიალებზე დამთავრა საშუალო სკოლა და დღეს საქართველოს გეოქური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

დათო ჩიქოვანისა და ხელი-

ლი არის ინტელექტუალი სწორედ ადამიანურ რესურსებში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია...

ნანა გაბუნიას - ჩვენი ორგანიზაციის არსებობა ახალი ცხოვრების მოგანილია. „მომავლის სახლი“ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გაიარა უკვე 150-მდე მზარდმა. ისინი აღარც ქრდობენ, აღარც მათხოვრობენ. წინათ თუ მხოლოდ საჭმელს ითხოვდნენ, ახლა წიგნების კითხვის ჭიაღრნით, ყველა მოვანთლეთ, ეკლესიაში დადიან... აქ მყოფი ყოველი ბავშვის ცხოვრება ცალკე ისტორიაა. სამი ახალგაზრდა უმაღლესი მოვაწყვეთ, რამდენიმე გოგონა გაავახოვეთ და უკვე შეიღვივებულ გვეყვანან.

ჩვენი აღსამრდელები კეთილმოწყობილ სამკურნალო სამქროში ქველმოქმედის - დიმიტრი ნინო ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებიან კურსს. მანვე მათი მინაწილებით მოამზადა კონცერტი, გამართა მოღების ჩვენება. ბავშვებმა ისწავლეს სიმღერები და ცე-

ლი პრობლემები გადაჭრება, თუ აქედანვე არ დაიწყეთ მრუნვა მათ მოსაგვარებლად, თუ დღესვე არ ვიმრუნეთ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, თუ დღეს არ დავეხმარებთ ჩვენივე უნათობით ქუჩაში გამოყრილ არასრულწლოვანებს, ხვალ ისინი მწარედ გვაშველებენ...

გავფრთხილდეთ, ნუ ვაგერბთ ამ ბავშვებს, მათი ცრემლები შემოვიანხოთ ჩვენი დასაგირებლად...

ტელეფონით შეიკვეცს ირლანდიელებმა ქართველი ბავშვების შესახებ, დიდი გზა გამოიარეს გასულ წაფულს „სამარტელოთა კემისის“ წევრებმა, სამი ოთახი გაარემონტეს, მაცივარი, გელევიზორი, ვიდეოკამერა შექმინეს „მომავლის სახლს“.

იგალოის საელჩომ ბავშვების დახმარების მიზნით გასულ სექტემბერს გახსნა საერთაშორისო საქველმოქმედო ბაზრობა თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის გერმანიის მუზეონის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აქედანსაკუთრებით თავი გამოიჩინა დედაქალაქის მერმა ვანო მოღელავამ.

მოდი, პრობლემებზე საუბარს აქ დავუსვით წერტილი. ხვალ ხომ ძველით ახალი წელი!

... სიორგულ მოედანზე თამაშობენ დათო კერესელიძე, ლაშა ცხომიძე, მძებნი დათო და მურაბ ბიბილოვები, მამუკა ხუნაშვილი, გონა გლაშაძე, ქეთინო გორიჭაშვილი, ნინო გოცირიძე, რამამ ჩაჩუა...

ბავშვებო, ვინ იქნება ხვალ თქვენი „თოვლის პაპა“? - ვანო მოღელავა!!! - ერთხმად მიპასუხებენ.

ვის გინდათ მიველოცოთ ახალი, 2003 წელწად?

ლაშა - დათო ხუროძე, ვინც ეს სკადიონი გავეკეთა!

მამუკა - ბევრ შემოსავალს ვუსურვებ „მეურნის“!

ნინო - ქართველ ხალხს მინდა ვუსურვო გამარჯვება და კარგი სურვილების ასრულება!

რას ინატრებდით ამ ახალ წელს?

რამაზი - „პარი პოტერის“ წიგნი მქონდა...

მურა - „დროლის“ პლაკატი მოგვიკანთ.

დათო - რამი შგაინის პლაკატიც...

გოგონებმა კი თავიანთი კერპების: დათო ხუჯაძის, ბრიგენ სპირის, ენრიკე იგლევიას, სტეფანეს პორტრეტები ინატრეს - კედელზე გასაკრავად.

ხედავთ, მათი ნატვრა როგორ ჰგავს თითოეული ჩვენგანის ბავშვობისდროინდელ ნატვრას და ოცნებებს?

მთავრების მათ გულზე დეით-სნიერმა ადამიანებმა და... ღმერთის წყალობით, ჩატრული სული გაიხსნა და გათავისუფლდა.

მე კი ამ ხელფასზე, გაბნეულ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებიდან ცოცხა ფულს შევაკრავებ და მათი სახელობით აუცილებლად ამოგიგანო ნანატრ წიგნებსა და პლაკატებს, თქვენ ოღონდ ბევრი იკითხოთ და ისწავლით...

მამუკამ თოვლით გაგახსარა, თითქმის წელზე გადარეცხა, თითქმის წელზე გაგახსარა ლეჟი მეც მჯერა, რომ სიკეთის წელიწადი დაიწყო...

ლია ჭილდუაძე.

გავროშები და კონკიები თბილისის ქუჩებიდან



„ბავროშების“ გუნდი. ცენტრში - ლაშო ხუროძე, ამათი კეთილმეყოფი.

მართ. მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა. მას მუსწეს უნარი, მიიღობის ქველმოქმედი ადამიანები, დაახლოვს ჩვენი პრობლემები და განაწიოს კონკრეტული საქმის გასაკეთებლად. უამრავი მეგობრული შევიძინეთ. უკვე იმდენი დაფარული სიკეთეა ამ კედლებში, მინარედი რომ იქცეეს, ყველა სიავეს წაღებავს...

ჩვენმა პრაქტიკამ დაგვიბეჭდა, რომ აღამიანური ურთიერთობებისა და თანადგომის მაგალითი აღმრდის უდიდესი, უძლიერესი მეთოდაა. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ დედაქალაქის მერი ვანო მოღელავა ამ ბავშვების მშრუნველი და მეგობარია. მიუხედავად მძიმე საშუალო გრაფიკისა, ის პოლოლის დროს და მოღის ჩვენთან, ან თავის კაბინეტში იბარებს ქუჩიდან მოსულ ბავშვებს, ურჩევს, არიგებს, ეს-მარტა, გელევიზონზე ესაუბრება... ყოველთვის იცის, რა სჭირდება მათ, აცის ჩვენი ტკივილიც... გაბიყ შემოგვიყვანა, არც ერთი ახალი წელი არ გამოუგოვებია უსაჩუქროდ.

გვემარტა და უყურადღებოდ არ გეტოვებს ქალბატონი მანანა მოღელავა - ისიც ხომ ვანო სახით ლეგენდარული ნინა ვეანიას შევლია და სხვანაირი, ალბათ, არც შეიძლება იყოს! განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკული ნავთობკომპანია „შეფრონის“ ქართული წარმომადგენლობის პრეზიდენტის დავით ხუროძის თანადგომა. მშვენიერი სკადიონი მან გაუკეთა ბავშვებს, რითაც ძალზე გაახარა ისინი. უყურადღებოდ არ გეტოვებენ რუსულან ბერიძე, წლევიანი ახალი წელი საჩქერებით მოგვილოცა კიორეკისორმა ნანა ჯანელიძემ თავის მეუღლესთან

სუფლების წარმომადგენლის ასეთი მეგობრობა ხომ არის აღამიანური ურთიერთობის ნათელი სვეტი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისთვისაც მისაბაძი მაგალითი? - ამბობს ქალბატონი ცირა.

სავსებით ვეთანხმები და ვეკითხები.

რამდენი ბავშვი გყავთ ამჟამად და რა პრობლემები დგას თქვენს წინაშე?

- დღესათვის ჩვენი შესაძლებლობები ორმოცდაათ ბავშვზეა გათვლილი, თუმცა, გვეყვს საბოცი. იმ დღეს სვანეთიდანაც ჩამოგვიყვანეს ობლები, მაგრამ ვეღარ მივიღეთ. მსურველი უამრავი მოღის. იმათაც უნარი ვისტუმრებთ, რადგან არა გვაქვს საწოლები, თეთრეული, საკვები, რომ უფრო დიდი კონცენტრეტი დაეაქმეყოფოდნენ. გვეჭირს სკოლის სახელმძღვანელოები... ჩვენი მიზანია ამ ბავშვებს მივეცეთ საგმურები ცხოვრებაში, შევასწავლოთ ისეთი პროფესიები, რომლებიც მათ მომავალში საარსებო წყაროდ ექმნებათ. უკვე გვეყვს რამდენიმე სრულწლოვანი ვაჟი - უკვე კაცები, რომელთაც ჩვენგან წასასვლელად არსად არ აქვთ, აქაც როდემდე გაეანორო? არადა, ისეთი კარგები, კეთილები არიან... თუკი მათ არ დაეხმარებოდნენ, ისევე ქუჩაში გავეშვებთ, გავწირავთ... ერთი ლტოლვილი, დედით ობოლი გოგონა ძლივს გამოცხადებულ ღმერთ მამას, რომელიც სადაც, სადაღმე ცხოვრობს, და ისევე იმასთან ხომ არ გავუშვებთ?

არადა, დღეს მსოფლიო ეკონომიკა ვერდნობა სწორედ აღამიანურ, სოციალურ რესურსებს. განვითარებულ ქვეყნებში კარგად იცინა, რომ მომავალი თაობის აღმრდის საქმეში ჩაღებულნი ფუ-

კვა... გასულ წელს მსახიობმა ია ფარულავამ წაიყვანა ჩვენი გოგონები ნათია ბუჯიაშვილი და ნინო გელევილი და თავის სატელევიზიო გადაცემაში გადილო. სამოგალოების მხრიდან ასეთი ყურადღება მომავლის იმედით განაწყოვს მათ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია.

ნანი ჭანიშვილი: - ალბათ, ფროიდიც და სხვა ფსიქოანალიტიკოსებიც გაოცდებოდნენ იმ ფსიქოლოგიურ ძვრებით, რასაც ამ ხუთ წელიწადში მია-

ღვიეს „მომავლის სახლის“ პედაგოგებმა. მათ, ფაქტობრივად, ცხოვრების ფსკრიდან ამოიყვანეს ეს ბავშვობაწარმოებულები და სიცოცხლის ხალხის დაუბრუნეს. ახლა ჩვენს წინაშე და, საერთოდ, სახელმწიფოს წინაშე დგას მათი პროფესიული დაოსტატებისა და დასაქმების პრობლემა.

ამჟამად, ბატონ ვანო მოღელავასა და ინგლისის საელჩოს მონაწილეობითა და დახმარებით გადაწყვეტილი გვაქვს მივეცეთ მათ დაწვევითი პროფესიული განათლება. გვინდა გავხსნათ საიუველირო სამქრო, მძღლოვის კურსები, შევასწავლოთ სახეკენიკოსის, გელევიზორების შექმნელების, რადიოტექნიკოსის, მულეჟაჟის, პარკეტის აღმეების სპეციალობები.

დაიას, ჩვენი ძირითადი მიზანი მათთვის პროფესიის მიცემაა, მაგრამ ამ მხრივ ვაწყვედით უამრავ წინააღმდეგობას. მაგალითად, თუ მოზარდს არა აქვს საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა, მას არა აქვს უფლება, შექმნას, დაეუფლოს მძღლოლის პროფესიის, ამის დაზღვევებულ საბუთს ვერ მისცემენ. დღეს მოქმედი განათლების კანონის შესაბამისად საშუალო სკოლის მისწავლე, თუ იგი ფრიაღოსანი არ არის, იხდის სწავლის ქირას. „მომავლის სახლის“ კონცენტრეტი კი ისეთია, რომ იშვიათად გამოგვერევა ფრიაღოსანი. მამ, ვინ გადაუხდის ამ ბავშვებს სწავლის გადასახადს ვაპირებთ, მივემართოთ პარლამენტის შედგათის სახით შესაბამისი ცვლილება შეიგანოს მოქმედ საკანონმდებლო ბაზაში.

- მიმანია, - განაგრძობს იგი, - რომ თუ ყველანი მოვიწოდებთ, ჩვენს ირგვლივ არსებუ-

ჩვენი პუბლიკაცია

ქრნალის მხარეს როგორც თვითონ ახალი ცხოვრების „ქეჩვა“, ისე უკვე ძველი ცხოვრების მკაცრად...

ერთი წინააღმდეგობა და ბევრი რამ ამ წერილში წინასწარმეტყველებული არის პროგნოზირებული...

გუარა გომიანიძე.

ზინანსები

ამერიკული აქციების ბაზარს სტიმულის მნიშვნელოვანი ფაქტორი გაუჩნდა

ბასპლი კვირის მნიშვნელოვანი საფინანსო მოვლენა, რომელიც დიდი ენთუზიაზმით მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო ბაზარმა...

მასპლი საერთო ღირებულება 10 წლის განმავლობაში 670 მლრდ. დოლარად არის შეფასებული: აქედან 98 მლრდ. დოლარი 2003 წელზე მოდის...

ექსპერტთა შეფასებით, გვერდის რეალიზაცია უახლოესი სამი წლის განმავლობაში 2.1 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას განაპირობებს...

როგორც აღვნიშნავთ, ვერაულოდენე, პრემიუმები ბუმი შეემატა შეამცირებდა დივიდენდებზე გადასახადს...

უცხოთა გრივოლ ნობაჩიძე

„თანადროულ საქართველოს სტილი არ აქვს, ან თუ აქვს, მძრავია და სუსტი იმი“

ფრაგმენტები

სამი საგანი მაინტერესებს მეტად: რელიგია, ხელოვნება, ფილოსოფია, საქართველოში რელიგია მეტაბარტად...



სანი, სადაც იგი ჩემს „კოლონ“ არჩევს. ამ წერილის მარცხის დაწვრილებითი მტკიცება კია ხანია ხელნაწერად...

ჯერ: ესთეტიკური კულტურა ჩვენში საერთოდ. მაგონდება მწარს დაპირისპირება. გულათის მონასტერი ვინახულე ორჯულ: პირველად ბავშობაში...

საპირველი არ არის, თუ ესთეტიკაში არ ვართ დახელოვებული. ბევრი რამ გვაკლია ამისთვის. მოცულობა რამ გასულმა წელმა ამ მხრით?

არ წავიდეთ, ავიღოთ იმა ნაშრომის რუსული თარგმანი და მოინახოთ გვ. 430-432: იქ ვნახავთ დადასტურებას.

რად დაშვირდა ამ მარცხის აღნიშვნა? მიწანი ნათელია: კრიტიკოსი, პირველ ყოვლისა, ესთეტიკის უნდა იცნობდეს ჩვენში კი ამ შემთხვევაში მეტად „მწყარად არიან“...

ბასპლი წელს ორი დიდი მგოსანი გარდაიცვალა: აკაკი და ვაჟა. პირველიც და მეორეც „დიდს პოეზიას“ ეკუთვნოდა. მათი პოეზია არ იყო უბრალო „სახე ლიტერატურისა“...

ამას წინააღმდეგობა მწერალი გ. ტაბიძე თითქმის სულ ახალია, რომ ქართულს პოეზიაში მეფე აღარ არის. ამასთანავე, „მეფის არჩევის“ ჩვეულებასაც იხსენებდა. ჩემი აზრით, იგი ჩვეულება დასაგმობია...

იხ. გვ-4 გვ.



როგორც თვით სახლში მიიხსენებენ დივიდენდებზე გადასახადის გაუქმება ბრწყინვალე სტიმული იქნება საფინანსო ბაზრისათვის, რაც ამერიკული ადმინისტრაციის გათვლებით, აქციებზე კოეფიციენტს 10 %-ით გაზრდის.

ინვესტორებმა დადებითად შეაფასეს თეთრი სახლის სავალდებულო ინიციატივა, რომელიც ეკონომიკური მრდისკენ არის მიმართული. ორშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, საფინანსო ინდექსები, თითქმის 2%-ით გაიზარდა.

ბუშის ინიციატივა გადასახადების შემცირების შესახებ, მართალია, წამყვანი მამოძრავებელი ფაქტორი იყო აქციების ბაზრისთვის, მაგრამ არა ერთადერთი პოზიტიური სიგნალი აღმოჩნდა. ბაზრის დაღვრის განწყობაზე იმოქმედა ნაუთონის ფასების შემცირებამაც, რაც ვენესუელაში პარალიმენტული ნავთობის წარმოების კომპენსაციის მიზნით, ერთობლივი კვების...

იხ. გვ-4 გვ.

ჩვენი პუბლიკაცია

უცხოები გრივად მოხიბვნილი

(მასაჟი გვერდიდან)

ჩემი აზრი, ამ მდგომარეობის შესახებ თითქმის ყველამ იცის (მწერია, მითქვამს): დიდს ნიჭით არის დაჯილდოებული. საუბრე-ღერით იგი ნიჭი მეტად ვიწრო რკალშია მოქცეული: ერთგულს მოტივების გარდა მას სხვა მოტივი არა აქვს. ეს კიდევ არააფერი: თვითონ „ერთგული“ მას ვერ დაუყვანია მისგორის სიღრმემდე. მე აქ „ერთგული“ დიდი პლატონის განმარტებით მესმის. ბო-დელოდ „ერთგული“ კოსმოსს სფეროს აღწევს. გრძელმიზნის ლექსებში „ერთგული“ უბრალო სიტყვას ვერ გასცილებია. თუმცა იგი ხოცავს თვალ-მჭრელი ორნამენტება, და კიდევ, გრძელმიზნით, პირველ ყოვლისა, მტკაფორის მტკაფორს. სპარსული პოეზიის ნაკადი სწორედ აქაა ჰყოფს თავს. მაგრამ კრიტიკისთვის ლექსების არც ერთი „მტკაფორი“ ვერ სიმბოლოდ არ გადასულა. მტკაფორის რაობაში კი გრძელ-

კი ნამდვილს განცდას გამოვხატავ: გრძობით „ენებას“ და არა მშრალ სი-გვესას. შესაძლოა ზოგი სახე მათში ჰა-რები იყოს და ამ მხრით პორნოგრა-ფიის სიოც ჰქონდადღეს შიგ ოღნავ, მაგრამ ეს მათს საერთო სახეს ვერ ცვლის სრულბით: კიდევ ორი-სამი ბიჯი და ავტორი ნამდვილს მზაგვრულად გა-ნცდილს „ერთგულს“ მოგვეცეს. აქვე მინდა სამი ახალგაზრდა ავტორი: გაფრინდაშვილი, გ. ტაბიძე, პ. იაშვი-ლი სამივე მოსწავლენი არიან რუ-სეთის მოღვრისგან. მათს ყოველს ლექსს ღია გაგონება ეგვება რომე-ღიმე რუსეთის მოღვრისგან; მა-გრამ ისიც კარგია, რომ მათ იციან „ლექსის კულტურა“, რაც უცხო ხილია მრავალი ჩვენი მკვლევრისათვის. მათ აქვთ „გემო“, — და ჯერჯერობით ესეც კმარა. შემდეგში რომელი მათგანი რა „სახეს“ მიიღებს, — ეს მერმისის სა-კითხია.

სრულბით დაეღობა ჯ. უმაბე. რა დაეღობათა?



მივიღებ ხელის მოწერა „სასაქონლო“

სრულბით დაეღობა ჯ. უმაბე. რა დაეღობათა? X. ჯორჯიანი განა-გრძობს ლაღაგს თავის თავისადმი: ისეთი წა-რმტაცი ლეგენდის მა-გიერ, როგორც არის „ჯეის ლელოლი“, მი-ნიაგორებში „ანკლო-გებს“ გვიამბობს მხო-ლოდ შესაძლოა, „ანე-კლოგი“ თავისთავად მა-ხვილიც იყოს, მაგრამ რა აქვს მას საერთო ხელოვნებასთან?

დიდი ხანია არა დაუწერია-რა უ-არაბლოს. „ამაღლეუკის“ ავტორისაგან კიდევ მოველით საგულისხმო რომანს.

ნ. ლორთქიფანიძის სტუმრ. ჩემთვის ნამდვილ მწერლად იქცა იგი, როცა მან „მრისხანე თვალად“ გამოაქვეყნა (ის „გრაფიკა“, წიგნი მეორე). ეს მოკლე რომანი მშვენიერადაა ყოველის მხრით: იგი ევროპული მწერლის რომელიმე რომანსაც არ ჩამოუვარდება. საე-რთო სტილი რომანისა ყაბიძის გტე-მაიერის სტილს მოგვაგონებს. მეორე მისი რომანი „კურთხევის“ 1914 წელს იბეჭდებოდა ერთს ქუთათურ გაზეთში, ერთი სქენა ამ რომანში პირდაპირ შე-სანიშნავია: მთავარს გმირს რომანი-სას კაცს შემოაკვდება, ბრუნდება სა-ხლში გახვეწილი, სიმეცეს სქესურს ორგანიზმს სხნის: ძალადობის თავისა-ვე ცოლსა. ეს სცენა პირდაპირ შედე-გურია ნ. ლორთქიფანიძის კალამის ასეთი ღრმა მზატვრული ინტეგრაცია ძირეული სინამდვილისა ძვირად შეხვედრია ქა-რთულს ლიტერატურაში.

მამამამე. ბევრი მწერალი არ მო-მისხნებია. ან იმისათვის, რომ არ ვი-ცნობ კარგად (მაგ. ქუჩიშვილი, მომ-ლეული, ქიანელი და სხ.) — ან და იმისთვის, რომ უახლეს ხანას არ ეკუ-თნიან (მაგ. ბარნოვი, ილ. ელუფთე-რიძე, კ. მაყაშვილი და სხ.).

სურამიძე. მწერლობა თურვის ერთი დარგი უნდა იყოს: სიციხელის გარ-დაქმნა ესთეტიურად მუდამ თვალწინ უდგეს მას. მწერლობა ამ მხრით ქუ-რუმობად უნდა იქცეს. პოეზია როგორც გასართობი საგანი იყ არაა მწას. პო-ეტი მეტყველებს უნდა იყოს მსოფლიო ცნაურებათა. ამისთვის საჭიროა მის-ტიური გაღრმავება პოეტის ბუნებისა: მხოლოდ ასეთი სულიერით სიღრმით მისწვდება იგი საიღმლო ცხადებს. თვი-თონ პოეტური გმა ამრეგად მესახება: მტკაფორა უნდა გაღრმავდეს კოსმი-ურობამდე, მაშინ იგი სიმბოლოდ იქ-ცევა შემდგომ სიმბოლო უნდა გაიშალოს მითად და მითმა პლასტიური ფიგურა უნდა მიიღოს (მაგ. „მთა“ ძველ ინდო-ელთა. „მუნადა“ ძველ ჰელენითა და სხ.) მართალია, ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მსოფლიო პოეზიას, მა-სი ცხრა მეათედი მთლად უნდა წარი-შალოს (მრავალი „პოეტი“ ზუსტად არ მოხვდება პოეტობა საიში), მაგრამ — მით უკეთესი ნამდვილი პოეზიისთვის.

ბრიგოლე რუბაძიძე. (იბეჭდება უცვლელად, მხოლოდ კორექტურული შეცდომების ჩას-წორებით.)

ფინანსები

(მასაჟი გვერდიდან)

უფრო მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ხდება გექსნოლოგიურ სექტორში, ინვესტორებს ამ კვირაში შეეჭმნებათ, როდესაც გასული წლის მეთო-ხე კვარტალის მონაცემებით, მსხვილ კომპანიებს Intel-ისა და Microsoft-ის ჩათვლით, საფინანსო ანგარიშების გა-მოქვეყნების სეზონი დაეწყებათ. ნეგა-ტიური გაფრთხილება მსხვილი გექსნო-ლოგიური კომპანიებისგან პრაქტიკუ-ლად არ ყოფილა. ამიგომ მოსალოდ-ნელია, რომ კვარტალური ანგარიშები პოზიტიური მონაცემების შემცველი აღმოჩნდება. მაგრამ ახლო პერსპექ-ტივაში ძნელი სათქმელია როგორ პროგნოზებს გააკეთებენ გექსნოლოგი-ური კორპორაციები დაძაბული გეოპო-ლიტიკური სიტუაციის ფონზე. ჯერჯე-რობითი კი კვირის შედეგებით, Dow Jones-ის 2.1%-ით, ხოლო Nasdaq-ის 4.4%-ით გაიზარდა. წლის დასაწყისიდან „ცისფერი კოჭების“ ინდექსმა 5.3%-ი-ნი, მაღალგექსნოლოგიების ინდექსმა კი 8.4%-იანი ზრდა დააფიქსირა.

საპლაზმა ბაზრებზე გასული კვირა წამყვანი ვალუტების მიმართ შევიცა-რული ფრანკის მორიგი გაძლიერებით აღინიშნა. კვირის ბოლო დღეს ამე-რიკულ დოლარზე დოლარი/შვეიცარული ფრანკის კურსი თითქმის 100 პუნ-ქტით დაეცა 1.3785 დონემდე, რაც ბო-ლო ოთხი წლის მანძილზე ყველაზე დაბალ მაჩვენებ-ლად ითვლება. უფნგი/ფრანკის კურსი კი თითქმის 200 პუნქტით დაე-ცა 2.2179 ნიშნუ-ლამდე.

დღევანდის შე-ფასებით, შვეიცა-რულ ფრანკზე, როგორც „ვალუტა თავე შესაფარზე“ მოთხოვნის ზრდას, საგანგაშო გეო-პოლიტიკური მდგომარეობა განაპი-რობებს, მაშინ როდესაც იგივე ფაქ-ტორი ნეგატიურ მეტოქეობებს ახლენ ამერიკული ვალუტის კურსზე.

პირდაპირ ლიბრის ბაზრებზე გასულ კვირაში ახალ მაქსიმუმს მიაღწია ოქ-როს ფასმა და კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, უნიკაზე 352.75 დოლარით განისაზღვრა. მომდებარე ვერცხლისა და პლატინის ფასმა და შესაბამისად, 4.83 და 616 დოლარი შეადგინა.

ნავთობის უზრუნველყოფის საკითხი კვირაში მნიშვნელოვნად შევიწროდა, გა-მისხვა რა გრძელდებოდა რეაქცია ნავ-თობის მომწოდებელ ქვეყნებს შორის მო-ლაპარაკებების დაწყებასა და ოპიკის განცხადებებზე — უახლოეს პერიოდში გა-ზარდოს წვერი ქვეყნების ნავთობის წარმოების ერთობლივი კვება. ამასთან, დიფიციტის მოლაპარაკებები რუსეთის ფე-დერაციის ენერჯეტიკის მინისტრს იგორ იუსუფოვსა და ოპიკის ქვეყნების წარ-მომადგენლებს შორის, როგორც იუსუ-ფოვმა განაცხადა რუსეთი მზად არის, გაზარდოს ნავთობის წარმოება, თუ ამას აუკლებლობა მოითხოვს და, მიუხედა-ვად იმისა, რომ რაიმე კონკრეტულ პი-რობაზე საუბარი არ ყოფილა, ნავთობის ბაზარმა ეს მოლაპარაკება აღიქვა, როგორც ნავთობის გვიანგებს შორის თანამშრომლობის სიგნალი.

ორშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობზე თებერ-ვლის ფიჭერსი 30.20 დოლარამდე,

ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონ-ლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის თებერ-ვლის ფიჭერსი 32.10 დოლარამდე და-ეცა.

მომდევნო დღეს, ნავთობის ბაზრის განწყობა დაუმთავრებელი გეოპოლი-ტიკური ქაოსისა და ვენესუელაში პა-რალიზებული ნავთობის წარმოების კომპენსირების მიზნით, კვლავ ოპიკის მიერ ერთობლივი კვების გაზრდის ინი-ციატივამ განაპირობა. როგორც სამშა-ბათის ოპიკის ოფიციალურმა წყაროებ-მა განაცხადეს საულის არაბეთში შეი-მუშავა გეგმა ერთობლივი კვების 1.5 მლნ. ბარელამდე გაზრდის შესახებ.

მექსიკისა და ნორვეგიის წარმომად-გენლებს განცხადებით კი ამ ქვეყნებს არ შეუძლიათ გაზარდონ ნავთობის წარმოება, რადგან მათი ნავთობის კომ-პანიები ისედაც სრულ დაგვირგვინით მუშაობენ. ოპიკის წევრი რამდენიმე ქვეყანა თანახმაა, ნავთობის წარმოე-ბა დღეში 1 მლნ. ბარელამდე გაზარდოს. ოპიკის ოფიციალური წარმომადგენ-ლებს განცხადებით, 12 იანვარს ვენა-ში გაიმართა წევრი ქვეყნების წარმო-მადგენლების საგანგებო შეხვედრა, რო-მელიც ნავთობის წარმოების გაზრდის საკითხებს გადაჭრის.

მიუხედავად რაოდენობრივი წინააღ-მდეგობისა, ოპიკის მზადყოფნამ ერთობ-ლივი კვების გაზრდის შესახებ ბევრ მე-

დებოდა. ამასთან, შტაგების ენერჯეტიკის სამინისტრო არ მიიჩნევს, რომ სა-ანალიზო პერიოდში შეერთებულ შტა-გებში ნავთობის იმპორტის ზრდა, იმ შემთხვევაში თუ ვენესუელაში ნავთო-ბის წარმოება დაეკუმბოს ბოლო პე-რიოდის დონემდე ღარება, გენდენციის შეცვლაზე მინიმუმებს, მაგრამ ასეთი ციფრებით შეფიქრებული გრძელე-რები ნავთობისა და ნავთობპროდუქ-ტების ფიჭერების აქტიურ გაყიდვა-ზე გადავიდნენ.

ორშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის თებერვლის ფიჭერსი 28.79 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის თებერვლის ფიჭერსი ვაჭრობის განმავლობაში 29.75 დოლარამდე კი დაეცა, რასაც შედეგად ამ მარკის ნავთობის ფიჭერსი სზე მოკლე პერიოდის დახურვა მოჰ-ყვა და დანაკარგის შემცირება გამო-იწვია. დღის შედეგებით, WTI-ის ნავ-თობის თებერვლის ფიჭერსის ფასმა 30.56 დოლარი შეადგინა.

ამასთან, საერთაშორისო ენერჯეტიკ-ული სააგენტოს IEA-ის შეფასებით, ოპიკის წევრი ქვეყნები ვენესუელასა და ერაყის გამოკლებით, უმოკლეს ვა-ღაში რეზერვების მთელი სიმძლავრით ამოქმედების შემთხვევაში დღეში 3.3 მლნ. ბარელის მოპოვებას შეძლე-ბენ, რაც საკმარის-ია ან ვენესუელა-რი, ან ერაყის ნავ-თობის კომპენსი-რებისათვის, მაგ-რამ ცოტაა ორივე წყაროს გადაკვე-ვის შემთხვევაში.

ბოლო პერიოდში ნავთობის ბაზრის ზრდის მალმორავე-ბული ძალა სწო-რედ იმის მძაფრი შიში იყო, რომ, თუ პოლიტიკური კრი-ზისი ვენესუელაში, რომელსაც ბოლო არ უხანს, დაემთხვე-ვა ერაყში ომს, მსოფლიო ბაზარი ნავ-თობის უკმარისობის პირობებში აღ-მოჩნდება, რომლის ალტერნატივ ღრის მოკლე პერიოდში შეუძლებელი იქნე-ბა. ეს ფაქტორი წამყვანი ვახდა სუთ-შაბათის საავტოო სესიამზე, რამაც ბა-ზარი „ხარის“ მდგომარეობაში დააბ-რუნა.

კერძოდ, ნავთობის ბაზარმა ნეგა-ტიურად მიიღო გაეროს ინსპექტორე-ბის განცხადება ერაყის თაობაზე. შეი-არაღების მონიტორინგის დარგში გა-ეროს კომისიის ხელმძღვანელების პანს-ბლიკის შეფასებით, არ არსებობს უკ-ვანო საბუთი იმისა, რომ ერაყს აქვს, ან ამუშავებს მასობრივი განადგურე-ბის იარაღს, მაგრამ არადასაძკაპოფი-ლებელია და უამრავ შეკითხვას ბა-დევის ბადაღების დეკლარაცია შეიარა-ღების თაობაზე, რომელზეც ერაყის მთავრობას დღემდე პასუხი არ გაუ-ცია. ამასთან, ბლეკის თქმით, ჩვეუ-ლებრივი გიპის სამხელრო რაკეტები-სათვის საჭირო მასალის იმპორტირე-ბით ერაყმა დაარღვია გაეროს რეზო-ლუციო. მიუხედავად იმისა, რომ ბლეკ-სის განცხადებაში არაფერი განსაკუთ-რებული არ თქმულა რაც რეალურად გამრდიდა ერაყში ომის მოსალოდნე-ლობას, ნავთობის ბაზარმა საკმარის მიმგზად ჩათვალა სამდღიანი დაცემის შემდეგ ბაზრის ხელახალი ზრდისათ-ვის. შედეგად, ლონდონის საერთაშო-რისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავ-თობზე თებერვლის ფიჭერსი 29.64 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის თებერვლის ფიჭერსი 31.99 დოლარამდე გაიზარდა.

კვირის ბოლო დღეს ნავთობის ბა-ზარი კიდევ ერთხელ „მეგორგმანდა“ ოპიკის საგანგებო სხდომის მოახლო-ებასთან დაკავშირებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე შესაბამისი მარკის ნავთობის ფასმა მხოლოდ სა-მი ცნვით მოიმატა ბარელზე 29.67 დო-ლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის ბირჟა-ზე WTI-ის ნავთობის ფასი 31 ცნვით, 31.68 დოლარამდე შემცირდა.

იკა ლიშავა, „სრ“ ეკონომიკური მიმოხილველი.



შპს, სოფელი..

რომლის წევრი გახდეთის მეთვლეღა უკვე იცის, ახლახან გამოიცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვახტანგ გიორგიძის წიგნი „ახსრულ მამათა სამშობლო და საქართველო“, რომელშიც გამოკვლეულია საქართველოს მჭიდრო კულტურულ-დელოლოგიური კავშირი კაცობრიობის ცივილიზაციის ისეთ უძველეს კერასთან, როგორც იყო ჩრდილოეთი შუამდინარეთი (ჩრდ. მესოპოტამია). წიგნიდან გათავსობთ ერთ თავს, რომელიც გვამცნობს ბიზანტია-ირანის ომის (VI ს. დასაწყისი) ერთ-ერთ მხედართმთავარს შარსმან კოლხს.

სამხრეთში მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ათასობით ქართველი იბრძოდა სამშობლოსა და დამოუკიდებლობისთვის. უცხო ქვეყნის ინტერესებს ბევრმა სიცოცხლეც კი შესწირა. ერთ-ერთი ასეთია შარსმან კოლხი.

V ს. დასასრულისა და VI ს. დამდეგის ბიზანტიის იმპერიის სამხარეთო მხარეში ამ გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწის შესახებ თუ ძველმა ქართულმა საისტორიო წყაროებმა არაფერი იცინ, სამაგიეროდ, ბიზანტიელი (ბერძენი და სირიელი) ავტორები: პროკოპიუს კესარიელი (VI ს.) მაქარია რიგორი (VI ს.), იემუ სკილიტი (VI ს.) და თეოფანე ქათაბაღიშვილი (IX ს.) ფრაგმენტულ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს გვაწვდიან. მათი ცნობები ძირითადად ბიზანტია-ირანის 502-505/6 წლების ომში შარსმანის მონაწილეობას ეხება.

შარსმანი (იგივე ფარსმანი), როგორც მისი მეწოდება „კოლხი“ გვამცნობს, კოლხეთიდან უნდა ყოფილიყო, საგარდაუდოდ, სამეფო ან გამორჩენილი და დაწინაურებული კოლხი დიდებული ოჯახიდან. შემოღობული ლეგეონი ბიზანტიელი ავტორები ფარსმან კოლხს, როგორც იემუს, ბიზანტია-ირანის 502-505/6 წლების ომის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებენ. იმ ხანად, შარსმანი, რადგან უკვე გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე — ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ასპარეზზე ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა იყო. ცხადია, ბიზანტიის სამხედრო სამსახურში იგი ამ ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე უნდა შესულიყო.

შარსმანმა დიდი ნიჭისა და ვაჟკაცობის წყალობით ბიზანტიის სამხედრო ასპარეზზე დიდი სახელი მოიხვეჭა. ბიზანტიელი ავტორები მას ისეთ სარდალთა გეროდით იხსენიებენ, როგორც იემუს მისი თანამედროვენი და თანამებრძოლები: რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის ცნობილი სენატორის, შემდეგში რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის იმპერატორის თეოდორის (გარდ. 472 წ. 23 ოქტომბერს) სიძის დალაიფის ძე არეობინდი, მაქარია რიგორის მიერ „დიდ სტრატეგოსად“ წოდებული, წარმოშობით ფრიგიელი პატრიკი. იმპერატორ ანასტასიოსის (491-518 წ.წ.) დისწული იპატი. შარსმანის თანამებრძოლი იყო,

სომეხთა რამზს. დაიღუპა ბრძოლაში 547 ან 548 წელს.

ბიზანტიის სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველ მხედართმთავრებს: ფარსმან კოლხს, პერანსა და პეტრეს, თითქოს ბედმა არგუნა ძველი ქართული საისტორიო გრაფიკის მიერ ქართველთა კუთვნილად მიჩნეული ჩრდილოეთი შუამდინარეთისა და სამხედვარეთ ქართველთა ერთ-ერთი კულტურული ცენტრის, ჩრდილოეთი შუამდინარეთის მთავარი ქალაქის ედესის დასავლეთ მონაწილეობა. ბიზანტიელებთან ორი დიდი ომის დროს ირანელებმა იესო ქრისტეს მიერ დალოცული ქალაქ ედესის აღება რომ ვერ შესძლეს, ამასი დიდი წვლილი, სწორედ, ქართველ სარდლებს ფარსმან კოლხს, პერანსა და პეტრეს მიუძღვით.

531) პუნებისა და არაბების რამზები შეუერთდნენ, არეობინდს ბიზანტიელი სარდლები პატრიკი და იპატი არ დაეხმარნენ. არეობინდი იძულებული გახდა გამოქცეულიყო. მისმა ჯარმა ქ. გელასა და ედესას შეაფარა თავი. მაქარია რიგორის ცნობით, ამ დროს ფარსმანმა ვაჟკაცობის არაერთი მაგალითი აჩვენა. როცა მეფე კავადი „მოვიდა ჯარით, — წერს იგი, — რომელიც წინააღმდეგ, ესენი გაიქცნენ მისგან და დატოვეს თავიანთი კარები და განძეულობა, რომელიც თან ჰქონდათ. არეობინდ გაიქცა პარსამის ციხიდან, იპატი, პატრიკი და სხვები — გელქსარადან. მათ ბევრი ცხენი და ცხენოსანი დაჰკარგეს, რომლებიც კლდეებიდან გადმოეშვნენ, დაიმსხვრნენ, დაიხოცნენ ან დაიჭრნენ. მხოლოდ

სარდალი დააგყვეს. შემდეგ სპარსელთა სარდალი აშაბუდი (ას-პაბუდი) სიკვდილით დასაჯეს (აი ამ ამბავს მოჰყვება სპარსელთა გალი-ზიანება და ამიდას შვიდობიანი მოსახლეობის დაგყვევა). 505 წლის აგვისტოში ფარსმანი ისევ ჩრდილოეთ შუამდინარეთში იმყოფებოდა თავისი ჯარით ქ. აშაბუდიან ქ. ედესაში გადავიდა. ამ დროს იმპერატორმა ანასტასიოსმა იპატი მაგიერ მთავარსარდალად ფარსმანი დანიშნა. იგი მონაწილეობდა 506 წლის ნოემბერში ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის დაწყებულ სამავო მოლაპარაკებაში. შეთანხმებისამებრ, მოლაპარაკებაზე მოპირდაპირე მხარეები უიარაღოდ უნდა მისულიყვნენ. მაგრამ ირანელთა მეთაურს განისაზღვრეს ქვეშევრდობა და ირანელებს უნდა დაეხმარებინათ ფარსმანსა და გიმოსტრატს. მათი ბრძანებით ირანელები დააგყვეს. შემდეგ ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის სამავო მოლაპარაკება კვლავ განახლდა და მაგიც დაიდო.

მაისი დღეების შემდეგ ფარსმანი ჩრდილოეთ შუამდინარეთში დარჩა. როცა იმპერატორ ანასტასიოსის ბრძანებით, ირანის საზღვართან მდებარე სოფელ დარასათვის ბიზანტიელებმა გალაგნის შემოვიდა დაიწყეს, ირანელები გამოდოდნენ ქ. ნისიბისიდან და მშებრბლებს ხელს უშლიდნენ. ამიგომ ფარსმანი ედესიდან ამიდაში გადავიდა და იქიდან იცავდა მშენებლებს ირანელთა თავდასხმებისგან.

ქ. ამიდაში ყოფნისას ფარსმან კოლხმა თავი გამოიჩინა, როგორც დახელოვებული მონადირე. აქ იგი დიდ ნადირობებს აწყობდა. ომის შედეგად გაუკაცრიელეულ ადგილებში განსაკუთრებით ბევრი ყოფილა გარეული ღორი. ფარსმანი ყოველდღიურად 40-მე მეტს კლავდა და ცოცხლად იჭერდა. ედესელებისათვის თავისი ნადირობის შედეგები რომ ეჩვენებინა, ნანადირევის ნაწილს იქ აგზავნიდა, როგორც ცოცხლად, ისე მოკლულთა სახით.

რამდენ ხანს იყო ფარსმანი ქ. ედესისა და მისი ოლქის გამგებელი, ასევე მისი შემდგომი ბედი, უცნობია. როგორც ჩანს, იმპერატორ იუსტიანე I. მეობისას იგი ცოცხალი აღარ იყო. ამ დროისათვის, როგორც მეფით აღვნიშნე, ბიზანტიელი ავტორები მხოლოდ მის ძეს მავნას და შეილიმეილებს რუფინუსსა და ლეონტის იცნობენ. ასეთი იყო ქართველი მხედართმთავრის ფარსმან კოლხის როლი ბიზანტია-ირანის 502-505/6 წლების ომში.

შარსმან გიორგიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

შარსმან კოლხი

ოს კესარიელის თანახმად, მუნას ძეები რუფინე და ლეონტი 539-40 წლისათვის აფრიკაში ვანდალების წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლები იყვნენ და „ვაჟკაცობის დიდი საქმეები გამოაჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“. გამოდის, რომ შარსმან კოლხის მთავრობის დროს ირანის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა მისი შვილი იემუსი რუფინე და ლეონტი გამოჩენილი ბიზანტიელი სარდლის ევლისიარისის (504-565) ხელმძღვანელობით ებრძოდნენ ვანდალებს აფრიკაში და იუსტინიანე I ხანის ბიზანტიის იმპერიის სამხედრო წარმატებებში მიუძღვით წვლილი. საინტერესოა ისიც, რომ იმ დროის ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ასპარეზზე დაწინაურებული პირები იყვნენ „დასავლეთი ქართლისაის“ გამგებლის, 523 წელს ქართლიდან გაქცეული გურგენის მთავრობის დროს: პერანი, ბაკური, ფაბა.

პერანი 535 წელს ევლისიარისთან ერთად ებრძოდა იგალიაში ოსტგოებს. პერანი იგალიაში ჩანს 536-537 წლებშიც, ხოლო 544 წელს, როცა იგი ირანელებისაგან ქ. ედესას იცავდა, ირანის შაჰი ხოსრო I (531-579) ედესის მოქალაქეებისაგან მოითხოვდა პერანისა და პეტრეს, როგორც მისი ყოფილი ქვეშევრდობების გადაცემას ან 500 კენგინარ ოქროს. მრავალ ბრძოლაში ნაწრობით ქართველი უფლისწული პერანი იმავე წელს ცხენიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა.

გურგენის ოჯახის მეორე წარმომადგენელი ბაკური ბიზანტიელთა ერთ-ერთ სარდალად 552-553 წლებში, ხოლო პერანის ძმისწული ფაბა, იგალიაში ოსტგოეთების მყოფ გოტილას (541-552) წინააღმდეგ ბრძოლისას სთავაზუმი ეღვა

პერანი და პეტრე ბიზანტია-ირანის 540-562 წლების ომის დროს, 544 წელს ხელმძღვანელობდნენ ქ. ედესის დაცვას. ფარსმან კოლხმა კი, როგორც იქვეა, ირან-ბიზანტიის 502-505/6 წლების ომის დროს მთავრად დიდი სახელი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ნ. პიგულევსკაის თანახმად, 502-505/6 წლების ბიზანტია-ირანის ომში მონაწილე ბიზანტიელ სარდალთა შორის ყველაზე უფრო ნიჭიერი და საუცხოო ორგანიზატორი იყო შარსმანი, იგივე ფარსმან კოლხი იყო.

ამ ომის დაწყებამდე ბიზანტიის იმპერიის რა ნაწილში იბრძოდა და მოღვაწეობდა ფარსმანი, ამის შესახებ ბიზანტიელი ავტორები არაფერს წერენ. ირან-ბიზანტიის 502-505/6 წლების ომის მიმდინარეობისას კი, როგორც პროკოპიუს კესარიელი გვამცნობს, იმპერატორმა ანასტასიოსმა გაიგო თუ არა ირანელების მიერ ქ. ამიდას გარემოცვის ამბავი, ბრძოლის ველზე სხვა სარდლებთან ერთად ჯარით გაგზავნა ფარსმანი „წარმოშობით კოლხი. განსაკუთრებით სახელგანთქმული სამხედრო საქმისში“.

თუ პროკოპიუსის ამ ცნობას დავეჯერებთ, ბიზანტია-ირანის 502-505/6 წლების ომის დაწყებისას ფარსმანი სამხედრო საქმეში უკვე სახელგანთქმული პიროვნება იყო და იმ დროისათვის სამხედრო ასპარეზზე დიდი ხნის ნამოღვაწარი. როცა ფარსმანი ბრძოლის ველზე ჩავიდა, ირანელები უკვე მათ მიერ აღებული ქ. ამიდაში იყვნენ გამაგრებული. ამიგომ ბიზანტიელთა სარდალმა არეობინდმა სცადა ნისიბისის აღება, მაგრამ თუ ირანის შაჰს კავადი (488-

ერთმა მამაცმა მეომარმა ფარსმანემ (ე. ი. ფარსმანმა — ვ. გ.) რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, შეიქმნა სახელოვანი და სპარსელებს შიშის შარი დასცა. მისი სახელი მათ ამინებდა, მისი საქმეები ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს, მის წინაშე ისინი მხდლობდნენ და მარცხდებოდნენ.

მაქარია რიგორისავე თანახმად, ფარსმანი 500 წელიწადში მივიდა ქ. ამიდასთან, „დაუდარაჯდა სპარსელებს, რომლებიც სოფლების საძარცვად იყვნენ გასული, მოგიერთი მათგანი მოკლა და წაართვა მათ საქონელი, რომელიც თან მოჰყავდათ და ცხენებიც“. ვინმე გადანას მოხერხებულობის წყალობით, ფარსმანმა გამოიგონა ქალაქიდან სპარსთა სარდალი გლონი ჯარითურად და ამოკლავდა ისინი. სარდალის მოკვლის გამო სპარსელებმა დააგყვეს ქ. ამიდას მცხოვრებნი. ქალაქში სამინელი მიმშილი დაიწყო. მიმშილით შეწუხებულმა ხალხმა ადამიანების ჰამა დაიწყეს. ბოლოს „ქალაქში მოვიდა ფარსმანი და იქ დარჩენილ, ძალამიხლელ სპარსელებთან ხელშეკრულება დადო. ფარსმანი დარჩა ქალაქში და მართავდა მცხოვრებლებსა და ქვეყანას“.

ქ. ამიდას სპარსელთა გამოგყვების ამბავს, ამ ომის თანამედროვე სირიელი ავტორი იემუ სკილიტი სხვაგვარად მოგვითხრობს. მისი ცნობით, ფარსმანმა და თეოდორემ ამიდას გალაგნის კარისაკენ ცხვრის ფარა გარეუეს, თვითონ კი ჯარით ჩასაფრდნენ. ასე გამოიგყვეს ქალაქიდან 400 სპარსი და მათი სარდალი. ჯარისკაცები ამოწყვეტეს, ხოლო მათი

არჩილ ჯორჯაძის პირადი ფერილები

სწორედ ამიგომ ისწრაფვის იგი საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად. უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად იგი დაიბუღდა მუშაობის თვითგანვითარებაზე: „განათლებას მე უნივერსიტეტის გარეშეც ვღებულობ და წიყ ვერაფერი დამიშლის დაწყებული გავაგრძელო“.

განათლების მიღებას იგი კონკრეტული მიზნების განხორციელებას უკავშირებს. „რას ვაკეთებ? იმის ახსნითა და მკაფიო განსაზღვრით ვარ დაკავებული, თუ ჩემს სულს რა აღუვყვება. მინ მანამ არ დაებრუნდები, სანამ სრულად არ მოვმეგრდები, ჩემი იდეალების გატარებულად მათგან არ დავიხსნა“.

ა. ჯორჯაძე სკულენგობის პერიოდში იწყებს მეცნიერულ მუშაობას. „ჩემი პირველი სტატია უკვე გამოვიდა „სევერნიე ვესტნიკის“ დეკემბრის ნომერში“ — აგვობინებს იგი ბიბლიოთეკის მთელ თავის საქმიანობას იგი მკაცრ მინაგან კონტროლს უქვემდებარებდა — „ამჟამად უფრო, ვიდრე ოდესმე, ვგრძნობ პასუხისმგებლობას ახლობლების, სამოგალოების წინაშე“, „ჩემი ყოველგვარ საქმიანობას სინდისის მინაგანი ხმის მოთხოვნებს უუთანხმებ“ — და წარმართავდა მას, მიხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მაღალ სამოგალოებრივ პოზიციებზე დგომის მისწრაფებით: „როცა ჩემს შეგნებაში დავიწყება ახლი, შრომითი ცხოვრების სუ-

რათის გამოვლენა, მხოლოდ მაშინ შევიგრძნობ თავს ნამდვილ ბედნიერ და სასარგებლო ადამიანად“.

სხვადასხვა გარემოების გამო ა. ჯორჯაძის პირადი ცხოვრება, გარშემო მოყოფებთან კომუნიკაბელობის მხრივ, მკაფიოდ უსიამოვნოა. „ქართულ წრესთან კავშირი გავწყვიტე. ჩვენ ერთმანეთის არ გვესმის. ჩვენი გზები გაიყარა და უკეთესად ჩავთვალე ყველაფრისათვის გადაჭრითი ბოლო მომელო“.

თუმცა იგი იმასაც წერს, რომ „საბედნიეროდ, მეგობრებიც მყავს“.

ა. ჯორჯაძე ძალზე მკაცრი და მომთხონიანი ცხოვრებით გტპობით პრობლემებისაგან.

წერილებში იშვიათად არის საუბარი სოციალურ საკითხებზე. ამ მხრივ საყურადღებოა 1907 წლის 20 ნოემბრის წერილი. „არ გეთანხმები, გლეხების მუშასხებ რომ იწყებო. ამბობ, თუ მუშაობენ, ფულის გულისთვის მუშაობენ და არა იმიტომ, რომ მოთხოვნილება ჰქონდეთ მუშაობისათვის. აბა, დააკვირდი საგანს. როცა გლეხი მემამულესთან მიდის სამუშაოდ, ეგ იმას ნიშნავს, რომ თავისი მიწა არ ჰყოფნის, უფლი ესაჭიროება“ და იქვე დასძენს: — „გლეხს კარგად ესმის, რომ მიწა, რომელიც მემამულეებს ეკუთვნის და რომელიც მისი ოფლით არის მორწყული, დღეს თუ ხვალ მისი იქნება“.

წერილებში ა. ჯორჯაძე ხშირად ეხება ცხოვრებასთან მიმართების საკითხებს.

მას მიაჩნდა, რომ „სიცოცხლე ბრძოლასთან ერთად მოძრაობაა“ და უიდეალოდ ცხოვრება შეუძლებელია: „მეც ხომ ქალიშვილი ხარ იდეალებით? სხვანაირად ცხოვრებას ამრი არა აქვს“.

ა. ჯორჯაძის აზრით, არავის შეუძლია „იცხოვროს და მშვიდად იყოს, იცხოვროს და არ იწვალოს“. მისი შეხედულებით, ცხოვრების უბედურებათა შეგაღვინისაგან თავის დაღწევის პირობაა „უქმშობრივი სიკეთის პოვნა, რომელიც გაიმარებს ცხოვრებას და მოახლოებული სიკვდილის მღვრულზე მას გაამართლებს. ეს სიკეთე უნდა ვეძიოთ არა პირადი ცხოვრების სიკეთით, არამედ იმში, რაც ადამიანში სინდისის ძახლის და ადამიანებისადმი უანგარო სიყვარულის გრძობის სახით ცხოვრობს“.

კითხვამ — რა აკავებს ადამიანებს, რა აძლევს მათ ძალას, იგი უპასუხებს: „ადამიანები სოციალური კავშირებისა და ვალდებულებების შეგნების წყალობით ცხოვრობენ, მათ რელიგიური რწმენა, ხოლო მოგვარე თეორიული იდეალის რწმენაც აკავებს“.

როგორც იგი წერს, ყოველთვის ეძებდა სოციალურ წარმონის და ეს ძებნა საკმაოდ მძიმე, მაგრამ შედეგიანი იყო: „მეგანჯავდა და ძალას მაცლიდა მუღმი განხეთქილება სინდისთან, ბევრი ძალას ვატანდი საკუთარ სულს. დროა, ამას ბოლო მოეღოს და ვფიქრობ, რომ ამას უკვე ბოლო მოელო და ჩემთვის

იწყება, ახალი უკეთესი ნაყოფიერი ცხოვრება“.

ყოველდღიურმა თეორიულმა მუშაობამ ა. ჯორჯაძეს მეცნიერებაში მონაწილეობის გრძობა გამოუშუშა. „ყოველგვარ ამქვეყნიურ დღევანთაგან სიმშვიდე მეცნიერებაში შეიძლება იპოვოს. იგი ერთია, ვინც არ თანამართობს ცხოვრებისეულ წერტილმანებთან, მიუდგომელი, მშვიდია. ჩაფულ მასში, ეს ნიშნავს დამშვიდვლ, ყოველგვარ ნერვიულ შერყევებს განცალკო. ჩემი გამოკვლიებით ვამბობ — მხოლოდ მაშინ ვგვევარ ჯანმრთელი ადამიანს, როცა ჩემი გონება რომელიმე იდეითა დაკავებულია,“ — წერდა იგი.

საკვირველია, რომ 21 წლის პირველკურსელის მოგიერთი მსჯელობა ჩამოყალიბებული მეცნიერის აზროვნების დონეზე — „ყველაფერი წარმავალია, წამიერია, მაგრამ ჰემეშმარებება ერთია, ბედნიერება ერთია და განა დროებითი, წარმავალი ერთ დაფაზე უნდა დაესვათ მარადიულობასთან, უსარგულობასთან“.

მარადიული არჩილ ჯორჯაძის შეგონება: „ადამიანებისადმი სიმშაგლი შენში არ ჩაქალ. ეს გრძობა ძალთა სიახლის წყაროა. ის იხსნის ადამიანს მძიმე წუთებში“.

სამწესხაროდ, საგამეთო სტატია არ იძლევა საშუალებას უფრო ფართოდ შევეხო წერილებში აღძრულ პრობლემებს. ისინი თავის მკვლევარს ულიან.

ივანი შინგალია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

გამოიცა

გზამკვლევი მდის ერთი კაცი განუყოფელი სვანური ქედით, ხელში მომარჯვებული ყაღდით...

ბალიან რომ არ ჰყვარებოდა და ბევრჯერ ხიფათის პირი-სპირ არ აღმოჩენილიყო...

რეელი რომანი „ვარსკვლავთყვანა“ წაიკითხეთ, ეს მიწისუფლები ნაწარმოებია...

განსული საუკუნის საიდუმლოებანი თოვლის კასის სახსარის ფაქტა უახლესი



არება იმას, რომ ნაფხურები მისი გაკეთებული იყო, მაგრამ მე დანამდვილებით ვიყოლი ვიქ...


„მე არ მჯერა, რომ უოლესს ყველა გაგებოდა. როგორც პეტერსონმა ამ ერთი ფილიანი გარდა, რამდენიმე უნიკალური კინოკადრიც გადაიღო, სადაც ნათლად ჩანს მდებრი ბიგფუტი...

«ვერ, მიყვარს და ვერ...»

ღამოა და მალაბო... - წერს ბატონი ოგია. ამ წიგნში შესული თითოეული ნაწარმოები, ადრე გამოქვეყნებული თუ ახალი...

თავ უგაღმა უხვად დაგვაჯილდოვა, მერე გრადიციების გამოცოცხლება ძალიან ძნელი იქნება... „ჩემი ასახვები-დასახვები“ ამ მხრივ სამასსოვრო სხებებს ქმნის...

ღამო დასახვები დასახვები ძალიან ლამაზია ისლით გადახურული ხის სახლი (რომელიც წარსულში დარჩა), ემოციურე, რომელსაც ადრე დაკარგული ობოლი მშენებელი უწოდებდა...



თმანეთს, - მომხარავეთ „ჩემი ასახვები-დასახვები“. „გადასახვები“ იმ სამყაროში, სადაც აღამიანებს საოცრად ლამაზი ურთიერთობები აკავშირებს...


შარშან, ნოემბრის მიწურულს, 84 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა სამშენებლო კომპანიის მფლობელი და თოვლის კასის „მომბოლი“ რეი უოლესი...

უოლესს არაფერი მოეწონებოდა არ სურდა, უბრალოდ ყველაფერი ისე მოულოდნელად და სწრაფად განვითარდა, რომ მის უწყინარ ხუმრობაში ეჭვი არავის შეჰპარვია...

რამდენიმე საათის შემდეგ ნაფხურებს უკვე ფოტორეპორტიორები ამოწმებდნენ, სურათებს უღებდნენ, მუშებისგან ინტერვიუს იღებდნენ. ნაფხურების სურათები მეორე დღესვე გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთში...

უოლესმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა და წყვეტული საქმე და სხვა ფაქტებითაც გაემყარებინა ბიგფუტის „არსებობა“...

შეუძლო კი რეი უოლესს მთელი ამერიკა და მსოფლიო მოეგებებინა? თავისუფალია - ასე თვლიან სპეციალისტები - როგორ? მთავარია, ჯერ ორი „თვითმხილველი“ იპოვო (ეს სულ სამი ბოთლი ვისკი და ახილოვანი დაგვიტეხა)...



შევიდა ისტორიაში. მაგრამ ფაქტად რჩება, რომ ბიგფუტმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ თემამე გადაღებულია ასობით სრულმეტრაჟიანი ფილმი, მულტფილები. ბიგფუტის სახელი პეკია ავტომობილებს, საკვებ პროდუქტს. ბიგფუტი გახდა არა მარტო მითი, არამედ სარფიანი ბიზნესიც.

მოთხრობა

— ალექსი, თქვე ჩაჩნებო! ნახეთ რამხელა თოვლი მოსულა! — უთენია შემომსმა ბები- აჩემის ხმა. ბებია მოფერებო „ჩაჩნებს“ გვე- ძახდა. ახლაც არ ვიცი, რატომ გვეფერებოდა ასე, ან ამ შუაგულ იმერეთში საიდან მოიგა- ნა „ჩაჩნებს“.

თავბრუსმგერვეთი გავრბივარ ავიანებ. ბაბუა ხის ნიჩბით კიბეებიდან ჭიშკრამდე მიიკვლევს გზას: მუხლებამდე თოვლი დევს ეზოში, კიდევ თოვს. ჩვენი წითელი ქათმები თოვლში ეფ- ლობიან და ფრთებს საცოდავად აფრთხილებენ. ბაბუა თვალთ მანძინებს, მალამიანი აპირებს პურის საყიდლად წასვლას, ეამაყება, როცა მივყვები. „წამეგწა შედიშვილი, ოლიფანტი“ — სიცოცხლეს უხანგრძლივებს შემობლის შე- ძახილი. ვიყვამ, გავრბივარ.

ქუჩაზე არავის გაუვლია. ყველა ბაბუას ელო- დება. იციან, რომ ჩაჩნებს, გზის გაკვალა აღარაა საჭირო. ყველა ეზოს კართან ელოდება. მიე- დივართ მე და ბაბუა და უკან მოგვეყვება მთელი ქუჩა. „შენ აგამენა ღმერთმა, ოლიფანტი, თვარა ვიქნებოდი კიდო კაი ხანს“ — ჩლიფინებს ბე- ნიძეების ქერივი.

სოფლის კოოპერატივის წინ ხალხია შეკრე- ბილი. ნოქარს და ცხელ პურს ელოდება. ჩე- ნი მისვლა და, მოსახვევიდან თუთუხით მანქანა გამოჩნდება. ბავშვები მძღოლს პურის ჩამო- ცლაში ეხმარებიან — ჩვენ ურიგოდ მოგვე- მენ, წესია ასეთი.

ბაბუა ფულს ახურდავებს. „ბალიშა კამფე- ტებს“ ყიდულობს. ღამით ალილოა. თეთრი ფული და გკბილული მებალილოებისთვის უნდა.

— ოლიფანტი, ნაშუადღევს გადმოვიდეს ბა- დანა ჩემთან. სიმღერაში წაგვარჯიშებ ცო- ტას, — ეუბნება ბაბუას კლუბის ყოფილი გა- მგე გრიფონ ფსაკაძე, იქვე ცხოვრობს კოო- პერატივის გვერდით, მეუღლესთან და მოხუც დედასთან ერთად, გრიფონ ბაბუას ყოველთვის უზარმაზარი თეთრი, შავწინწკლებიანი „ბაბოჩკა“ უკეთია ყელზე.

— ბუკლებლად, ჩემო ბატონო, — თავს უქნევს ბაბუა.

